

585 / 963/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური კავშირების



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 10 (207)

10 აპრილი

1963 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანკოფილება პირველი

- 152. საგადასახდლო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის.
- 153. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნას სსრ კავშირ-იუგოსლავიის ხელშეკრულება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.
- 154. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება გაუწიოს მაღის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო „ოფის დიუ ნიკერის“ განვითარებაში.
- 155. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრალ აშხ. ვ. თ. ჟიგალინის დანიშვნის შესახებ.


ბანკოფილება მეორე

- 156. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით აშხ. ა. ნ. კუზნეცოვის დაჯილდოების შესახებ.
- 157. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით კინორეჟისორ გ. ვ. ალექსანდროვის დაჯილდოების შესახებ.
- 158. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მინისტრის აშხ. გ. ა. კარაევიცის დაჯილდოების შესახებ.

ბანკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნების სიგელები გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ო. პავლოვსკიმ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ,





საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრედიტის ბრუნავების და დადგენილებები

განყოფილება პირველი

საბადასახდლო შემთხვევა

152 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბ- თა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა იმ მიზნით, რომ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე მოაწესრიგონ ორ ქვეყანას შორის უშუალო გადასახდელები, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ შეთანხმების 2 მუხლში ჩამოთვლილი მიმდინარე გადასახდელების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის განხორციელდება ამ შეთანხმების პირობების შესაბამისად და ამ ქვეყნებში მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად, მაგრამ იმ პირობით, რომ არც ერთი მხარე არ გამოიყენებს ამ მხრივ რაიმე შეზღუდვას ან აკრძალვას, თუკი ასეთი შეზღუდვა ან აკრძალვა არ არის გამოყენებული სხვა ქვეყნების მიმართ.

მუხლი 2

მიმდინარე გადასახდელებია:

- 1) ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის და ყველა მასთან დაკავშირებული ხარჯების, სახელდობრ დაფრახტვის, დაზღვევისა და სხვა მისთანა ხარჯების გადასახდელები;
- 2) საქონლის ტრანზიტთან დაკავშირებული გადასახდელები;
- 3) საბანკო ხარჯებთან, საკომისიო ხარჯებთან და სხვა მისთანასთან დაკავშირებული გადასახდელები;
- 4) ორივე ქვეყნის საელჩოებისა და საკონსულოების ხარჯებთან დაკავშირებული გადასახდელები;
- 5) საკონსულო გამოსაღებთა ანაზღაურება;
- 6) ორივე ქვეყნის მთავრობის და კომერციულ წარმომადგენლობასთან, ყველა სხვა წარმომადგენლობასა და დელეგაციებთან დაკავშირებული ხარჯების გადასახდელები;
- 7) გადასახდელები ისეთი ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ და კულტურულ ღონისძიებებთან: ბაზრობებთან და გამოფე-

ნებთან, სპორტულ ღონისძიებებთან, მსახიობების გამოსვლებთან და სხვა მსგავს ღონისძიებებთან;

8) გადასახდელები ისეთი ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია კინოფილმების გაქირავებასთან, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების რეალიზაციასთან;

9) გადასახდელები ისეთი ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია ერთი ქვეყნიდან მეორეში მოქალაქეთა გამგზავრებასთან, სტუდენტთა და პრაქტიკანტთა სწავლების ხარჯების ჩათვლით;

10) გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია გასამრჯელოს გადახდასთან და ანარიცხებთან პატენტების, სავაჭრო მარკების, ლიცენზიების, საავტორო უფლებებისა და სხვა მსგავსი უფლებების მიხედვით;

11) პრემიებთან და დაზღვევისა და ხელახლა დაზღვევის მოთხოვნებთან დაკავშირებული გადასახდელები;

12) მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის, პენსიების, გასამრჯელოს და პონორარების გადახდა;

13) გადასახდელები ფოსტა-ტელეგრაფისა და სატელეფონო ორგანიზაციების პერიოდული ანგარიშსწორების მიხედვით;

14) ხომალდების რემონტთან და ჩვეულებრივ მომარაგებასთან, დისბურსმენტულ და სატრანსპორტო ხარჯებთან დაკავშირებული გადასახდელები, აგრეთვე სხვა გადასახდელები, რომლებიც მოხსენიებულია სსრ კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის ნაოსნობის შესახებ 1958 წლის 18 სექტემბერს დადებულ შეთანხმებაში;

15) სანავსადგურო გამოსაღებთა ანაზღაურება;

16) ავიაგადაზიდვების და მასთან დაკავშირებული მომსახურების გადასახდელები;

17) გადასახდელები, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერულ და ტექნიკურ თანამშრომლობასთან: მოქალაქეთა სწავლებასთან, სპეციალისტების დელეგაციებთან;

18) სასამართლო გამოსაღებების, გადასახადების, ჯარიმებისა და ამასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ანაზღაურება;

19) სხვა გადასახდელები, რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკსა და ეგვიპტის ცენტრალურ ბანკს შორის, გარდა იმ გამოსაღებებისა, რომელსაც იხდიან სუეცის არხზე ხომალდების გავლისათვის, რაც უწინდებურად ანაზღაურდება თავისუფლად კონვერსირებადი ვალუტით.

მუხლი 8

სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მიმდინარე ოპერაციების გადასახდელები განხორციელდება სსრ კავშირში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის მეშვეობით და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ეგვიპტის ცენტრალური ბანკის მეშვეობით.

ამ მიზნით სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი, მოქმედი სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით, და ეგვიპტის ცენტრალური ბანკი, მოქმედი არაბთა

გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით, გირვანქა სტერლინგებში ერთმანეთს გაუხსნიან უბროცენტო კლირინგულ ანგარიშებს, რომლებიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისაგან. ამ ანგარიშების გადასახდელები ყოველმხრივ გაუტოლდება იმ გადასახდელებს, რომლებიც თავისუფლად კონვერსირებადი ვალუტით უნდა გაისტუმრონ.

მუხლი 4

როს უხრუნველყოფილ იქნას უწყვეტობა გადასახდელებისა წინა მუხლში აღნიშნული ანგარიშების მიხედვით, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და ეგვიპტის ცენტრალური ბანკი ერთმანეთს მისცემენ ტექნიკურ კრედიტს თანხით 6 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

თუკი აღნიშნული ტექნიკური კრედიტის თანხა გადაჯარბებს 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს, მაშინ ნამეტ თანხას წელიწადში 2 პროცენტი დაერიცხება. მხარეები საჭირო ზომებს მიიღებენ, რომ ეს ნამეტი გაასწორონ სამი თვის ვადაში. თუკი ამ ვადის მანძილზე ნამეტი გასწორებული არ იქნება, მაშინ, ორივე მხარის ბანკებს შორის შეთანხმებით, ბანკ-კრედიტორს ყოველ დროს შეუძლია მოითხოვოს ნამეტი თანხის ანაზღაურება გირვანქა სტერლინგებით ან თავისუფლად კონვერსირებადი ყოველი სხვა ვალუტით.

გირვანქა სტერლინგების გადაანგარიშება სხვა თავისუფლად კონვერსირებად ვალუტაზე განხორციელდება გადასახდელის გადაანგარიშების დღეს ვალუტის ქვეყანაში არსებული პარიტეტული ოფიციალური კურსის მიხედვით.

მუხლი 5

ამ შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული გადასახდელების კონტრაქტები დაიდება. ან გირვანქა სტერლინგებში, ანდა თავისუფლად კონვერსირებად სხვა ვალუტაში.

მუხლი 6

გირვანქა სტერლინგის ოქროს შემცველობის რაიმე ცვლილების შემთხვევაში (ამჟამად ერთი გირვანქა სტერლინგი შეიცავს 2,48828 გრამ სუფთა ოქროს) ანგარიშებზე გირვანქა სტერლინგების ნაშთი, რომლებიც მოხსენიებულია ზემოთ 3 მუხლში, შეცვლის თარიღისათვის შესაბამისად იქნება შეცვლილი ისე, რომ წინანდელი დარჩეს ნაშთის ოქროს შემცველობა.

4 მუხლში მოხსენიებული ტექნიკური კრედიტის ლიმიტი გადაანგარიშებულ უნდა იქნას ასეთივე წესით.

მუხლი 7

ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ძალას დაკარგავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ეგვიპტის რეს-

პუბლიკის მთავრობას შორის 1953 წლის 18 აგვისტოს დადებული საგადასახდელო შეთანხმება, აგრეთვე მისი ყველა ცვლილება და დამატება.

ეგვიპტურ გირვანქებში გამოხატული დაუფარავი ნაშთი „ანგარიში-ინკასო-საერთო ანგარიში № 5“-სა, რომელიც მოქმედებდა 1953 წლის 18 აგვისტოს საგადასახდელო შეთანხმების საფუძველზე, გადაანგარიშებულ იქნება გირვანქა სტერლინგებად ეგვიპტური გირვანქებისა და გირვანქა სტერლინგების ოქროს შემცველობის საფუძველზე (ამჟამად ეგვიპტური გირვანქა და გირვანქა სტერლინგი შესაბამისად შეიცავენ 2,55187 და 2,48828 გრამ სუფთა ოქროს) და ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისათვის, გადატანილ იქნება ამ შეთანხმების 3 მუხლში მოხსენიებულ ანგარიშზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მყოფ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე დადებულ შეუსრულებელ გარიგებათა გადასახდელები განხორციელდება გირვანქა სტერლინგებში 3 მუხლში მოხსენიებული ანგარიშების საშუალებით. იმ თანხების გირვანქა სტერლინგებში გადაანგარიშებისას, რომლებიც ერგებათ ეგვიპტურ გირვანქებში ასეთი კონტრაქტებით, გადაანგარიშება განხორციელდება იგივე საფუძველზე, როგორც ეს აღნიშნულია წინა აბზაცში.

მუხლი 8

გადარიცხვები ამ შეთანხმების 3 მუხლის შესაბამისად გახსნილ ანგარიშებზე იმ ანგარიშებიდან, რომლებიც შეთანხმების დამდებ მხარეებსა და მესამე მხარეს შორის რაიმე საგადასახდელო შეთანხმების ძალით გაიხსნა, ანდა გადარიცხვები ამ შეთანხმების 3 მუხლის შესაბამისად გახსნილი ანგარიშებიდან იმ ანგარიშებზე, რომლებიც შეთანხმების დამდებ მხარეებსა და მესამე მხარეს შორის რაიმე საგადასახდელო შეთანხმების ძალით გაიხსნა, შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, თუ შესაბამისი მხარეების კომპეტენტური ხელისუფალნი წინასწარ მოიწონებენ ამას.

მუხლი 9

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის მანძილზე დადებული კონტრაქტები შესრულებულ იქნება მისი პირობების შესაბამისად ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც კი.

მუხლი 10

ამ შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ 3 მუხლში მოხსენიებული ანგარიშების ყოველი დაუფარავი ნაშთი დაიფარება საქონლის შეთანხმებული მიწოდებით და ამ შეთანხმების დადგენილებათა შესაბამისად მიმდინარე გადასახდელების განხორციელების გზით.

თუ ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თარიღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნაშთი კიდევ არ იქნება დაფარული, მაშინ მხარე-მოვალე მხარე-

კრედიტორის მოთხოვნით ამ ნაშთს დაფარავს გირვანქა სტერლინგებით, ანდა თავისუფლად კონვერსირებადი სხვა ვალუტით.

მუხლი 11

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და ეგვიპტის ცენტრალური ბანკი დაადგენენ ამ შეთანხმების შესრულების ტექნიკურ წესს.

მუხლი 12

საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ორივე მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთა ნებართვით შეუძლიათ ამ შეთანხმების ფარგლებს გარეთ დაღონ საქონლის მიწოდების კონტრაქტები, ამასთან ანაზღაურება განხორციელდება კონტრაქტში გაპირობებული ვალუტით.

მუხლი 13

ეს შეთანხმება იმოქმედებს 1963 წლის 1 იანვრიდან 1966 წლის 1 იანვრამდე. იგი რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მალე და საბოლოოდ ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის თარიღიდან.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება კაიროში.

ყოველ შემთხვევაში შეთანხმება დროებით იმოქმედებს 1963 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 14

ეს შეთანხმება უსიტყვო თანხმობით განახლდება ყოველი მომდევნო სამი წლის პერიოდით მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე შესაბამისი პერიოდის გავლამდე 90 დღით ადრე წერილობით შეტყობინების გზით არ მოახდენს მის დენონსაციას.

რის დასადასტურებლად თავ-თავიანთი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

დადებულია მოსკოვში 1962 წლის 23 ივნისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის მთავრობის რწმუნებით
ბ. კუმეიძენი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
მთავრობის რწმუნებით
ა. მ. კაინუნი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 12 იანვარს; არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1962 წლის 22 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა კაიროში 1963 წლის 26 იანვარს.

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დღეს ხელმოწერილ გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებასა და საგადასახდლო შეთანხმებასთან დაკავშირებით პატივი მაქვს დავადასტურო მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების დანართი ა სიაში აღნიშნული საქონლის კონტინგენტები შეიცავენ აგრეთვე იმ საქონლის რაოდენობას ანდა თანხას, რომელიც შეიძლება შესაბამისი შეთანხმებების პირობებში არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მიაწოდოს სსრ კავშირს სსრ კავშირის მთავრობის მიერ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობისათვის მიცემული კრედიტის დასაფარავად და მისი პროცენტების გადასახდელად.

ეს შეთანხმება არ აუქმებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებს შესაბამისი შეთანხმებებით გათვალისწინებულ პირობებში განახორციელოს საბჭოთა მხარის მოთხოვნით აღნიშნული კრედიტების დასაფარავად შემოსული და მისი პროცენტების გადასახდელი თანხების კონვერსია გირვანქა სტერლინგებად ან თავისუფლად კონვერსირებად სხვა ვალუტად.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩვენს თქვენდამი უალრესად დიდ პატივისცემას.

პ. კუშიკინი.

ბატონ ა. მ. კაისუნის

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
ეკონომიკის მინისტრს.

მოსკოვი

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დღეს ხელმოწერილ გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებასა და საგადასახდლო შეთანხმებასთან დაკავშირებით პატივი მაქვს დავადასტურო მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების დანართი ა სიაში აღნიშნული საქონლის კონტინგენტები შეიცავენ აგრეთვე იმ საქონლის რაოდენობას ანდა თანხას, რომელიც შეიძლება შესაბამისი შეთანხმებების პირობებში არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მიაწოდოს სსრ კავშირს სსრ კავშირის მთავრობის მიერ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობისათვის მიცემული კრედიტის დასაფარავად და მისი პროცენტების გადასახდელად.



ეს შეთანხმება არ აღქმებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებს შესაბამისი შეთანხმებებით გათვალისწინებულ პირობებში განახორციელოს საბჭოთა მხარის მოთხოვნით აღნიშნული კრედიტების დასაფარავად შემოსული და მისი პროცენტების გადასახდელი თანხების კონვერსია გირვანქა სტერლინგებად ან თავისუფლად კონვერსირებად სხვა ვალუტად.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს თქვენდამი უაღრესად დიდ პატივისცემას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
ეკონომიკის მინისტრი და დელეგაციის
მეთაური

ბატონ საგარეო ვაჭრობის მინისტრს
და საბჭოთა დელეგაციის მეთაურს.

ა. მ. კაიხუნი.

მოსკოვი

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის დღეს ხელმოწერილ გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით პატივი მაქვს დავადასტურო ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმება ქვემოთოყვანილზე:

1. სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში საბჭოთა მხარე არ მოითხოვს იმ შეღავათებისა და უპირატესობის გამოყენებას, რომლებიც არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს რომელიმე არაბულ ქვეყანას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან რომელიმე არაბულ ქვეყანაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

2. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სათანადო მიმართვის შემდეგ საბჭოთა მხარე ასევე იმსჯელებს იმ საკითხებზე, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში არ იქნას გამოყენებული ის შეღავათები და უპირატესობა, რომლებიც არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის დასაცავად გაერთიანებულ კასაბლანკის პაქტის მონაწილე ქვეყნებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ამ ქვეყნებში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

3. სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა არ მოითხოვს იმ შეღავათებისა და უპირატესობის გამოყენებას, რომლებიც სსრ კავშირმა მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს მის მეზობელ ქვეყნებს სსრ კავშირში მიწის ნაყოფისა და

მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და სსრ კავშირიდან ამ ქვეყნებში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს თქვენდამი უადრესად დიდ პატივისცემას.

პ. კუმიკინი.

ბატონ ა. მ. კაიხუნიძის

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის

ეკონომიკის მინისტრს.

მოსკოვი

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დღეს ხელმოწერილ გრძელვადიან სავაჭრო შეთანხმებასთან დაკავშირებით პატივი მაქვს დავადასტურო ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმება ქვემოთმოყვანილზე:

1. სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში საბჭოთა მხარე არ მოითხოვს იმ შეღავათებისა და უპირატესობის გამოყენებას, რომლებიც არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს რომელიმე არაბულ ქვეყანას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან რომელიმე არაბულ ქვეყანაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

2. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სათანადო მიმართვის შემდეგ საბჭოთა მხარე ასევე იმსჯელებს იმ საკითხებზე, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში არ იქნას გამოყენებული ის შეღავათები და უპირატესობა, რომლებიც არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის დასაცავად გაერთიანებულ კასაბლანსკის პაქტის მონაწილე ქვეყნებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან ამ ქვეყნებში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

3. სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა არ მოითხოვს იმ შეღავათებისა და უპირატესობის გამოყენებას, რომლებიც სსრ კავშირმა მისცა ან ამიერიდან შეიძლება მისცეს მის მეზობელ ქვეყნებს სსრ კავშირში მიწის ნაყოფისა და

მრეწველობის ნაწარმის შესაზიდად და სსრ კავშირიდან ამ ქვეყნებში მიწის ნაყოფისა და მრეწველობის ნაწარმის გასაზიდად.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს თქვენდამი უაღრესად დიდ პატივისცემას.

ბატონ საგარეო ვაჭრობის მინისტრს და
საბჭოთა დელეგაციის მეთაურს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
ეკონომიკის მინისტრი და დელეგაციის
მეთაური
ა. მ. კაიხუნიძე

მოსკოვი

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

ვიმოწმებ რა შემდგარ მოლაპარაკებას, პატივი მაქვს დაგიდასტუროთ ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ 1958 წლის 10 აგვისტოს კაიროში მხარეებს შორის გაცვლილი იმ წერილების ტექსტებში, რომლებიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას სტატუსტს ეხება, სიტყვა „დამასკოში“ შეიცვალოს სიტყვით „ალექსანდრიაში“.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს თქვენდამი უაღრესად დიდ პატივისცემას.

ა. მ. კაიხუნიძე.

ბატონ ა. მ. კაიხუნიძეს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
ეკონომიკის მინისტრს.

მოსკოვი

მოსკოვი, 1962 წლის 23 ივნისი

ბატონო მინისტრო,

ვიმოწმებ რა შემდგარ მოლაპარაკებას, პატივი მაქვს დაგიდასტუროთ ჩვენს შორის მიღწეულ შეთანხმება იმის შესახებ, რომ 1958 წლის 10 აგვისტოს კაიროში მხარეებს შორის გაცვლილი იმ წერილების ტექსტებში, რომლებიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენ-

ლობის სტატუსს ეხება, სიტყვა „დამასკოში“ შეიცვალოს სიტყვით „ალექსანდრიაში“.

ერწმუნეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს თქვენიდამი უაღრესად დიდ პატივისცემას.

ბატონ საგარეო ვაჭრობის მინისტრს და
საბჭოთა დელეგაციის მეთაურს.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის
ეკონომიკის მინისტრი და დელეგაციის
მეთაური
ა. მ. კანისუნი

მოსკოვი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნას სსრ კავშირ-იუგოსლავიის ხელშეკრულება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საჩივრებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1962 წლის 24 თებერვალს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრძენაძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 მარტი.

№ 1172-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 იმ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება გაუწიოს მალის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო „ოფის დიუნიშარის“ განვითარებაში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო „ოფის დიუნიშარის“ განვითარებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარება გა-

უწიოს მალის რესპუბლიკას, ხელმოწერილი ბამაკოში 1962 წლის 10 ოქტომბერს, რატიფიცირებულ იქნას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 26 თებერვალი.

№ 1081-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. თ. ჟიგალინის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ თევდორეს ძე ჟიგალინი სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 მარტი.

№ 1182-VI.

ბანყოფილება გეორია

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ა. ნ. კუზნეცოვის დაჯილდოების შესახებ

კულტურული მშენებლობის დარგში წარმატებით მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კუზნეცოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 25 მარტი.

№ 1171-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 შრომის წითელი დროშის ორდენით კინორეჟისორ ბ. ვ. ალექსანდროვის დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით კინორეჟისორი გრიგოლ ვასილის ძე ალექსანდროვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 28 მარტი.

№ 1180-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 შრომის წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის მინისტრის ანხ. ბ. ა. კარავაევის დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრი ანხ. ვიორგი არკადის ძე კარავაევი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 2 აპრილი.

№ 1184-VI.

ბანყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან მდივანს ელჩა პავლოვსკიმ ო. კავლოვსკიმ

ა. წ. 1 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ოლდრეჩხ პავლოვსკი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ მრჩეველი მ. პარისი, სავაჭრო მრჩეველი ი. შინდელარევი, მრჩეველი კ. კიტრიხი, სამხედრო ატაშე გენერალი ფ. ნოვეკი და საელჩოს სხვა დიპლომატიური მუშაკები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ვ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა

მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ე. ი. გრომოვი, თ. თ. მოლოჩკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ო. პავლოვსკის. საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ნ. პ. ფირიუბინი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ბელორუსიის სსრ

ზოგიერთი ქალაქი განეკუთვნა საოლქო დაქვემდებარების ქალაქის კატეგორიას. ქალაქის ტიპის დაბები უოდიხო და სოლიგორსკი ქალაქებად გარდაიქმნა

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 7 მარტის ბრძანებულებებით საოლქო დაქვემდებარების ქალაქებს განეკუთვნა ბრესტის ოლქის ქალაქები კობრინი და ლუნინეცი, ვიტებსკის ოლქის ქალაქი ლეპელი, გომელის ოლქის ქალაქები დობრუში, ჟლობინი, კალინკოვიჩი და სვეტლოგორსკი, გროდნოს ოლქის ქალაქები ვოლკოვისკი, ნოვოგრუდოკი და სლონიმი, მოგილევის ოლქის ქალაქები კრიჩევი და ოსიპოვიჩი და ქალაქებად გარდაქმნილი მინსკის ოლქის ქალაქის ტიპის დაბა უოდიხო და მუშათა დასახლება სოლიგორსკი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1963 წლის 26 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1963 წლის 2 აპრილი.